

# ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 2 (C#-ის ბაზაზე)

## II სემესტრი.2017-2018 წელი (დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

### კითხვა 1

მემკვიდრე კლასის გამოცხადების სინტაქსია:

აირჩიეთ ერთი:

- a. class წინაპარი\_კლასის\_სახელი : მემკვიდრე\_კლასის\_სახელი {კლასის კოდი}
- b. class მემკვიდრე\_კლასის\_სახელი : წინაპარი\_კლასის\_სახელი {კლასის კოდი}
- c. class წინაპარი\_კლასის\_სახელი : წინაპარი\_კლასის\_სახელი {კლასის კოდი}

### კითხვა 2

```
class klasi1 { protected int cvladi1; }
```

```
class klasi2 : klasi1 { public int cvladi2; }
```

კოდში:

აირჩიეთ ერთი:

- a. klasi1 კლასის cvladi1 ცვლადი უხილავია klasi2 კლასში
- b. klasi1 კლასის cvladi1 ცვლადი ხილულია klasi2 კლასში
- c. klasi2 კლასის cvladi2 ცვლადი ხილულია klasi1 კლასში

### კითხვა 3

base სიტყვის გამოყენებით გამოიძახება ის კონსტრუქტორი, რომლის:

აირჩიეთ ერთი:

- a. პარამეტრების სია არ შეესაბამება არგუმენტების სიას
- b. პარამეტრების სია შეესაბამება არგუმენტების სიას
- c. პარამეტრები სტატიკურია

### კითხვა 4

თუ მიმართვით ცვლადს, რომელსაც აქვს წინაპარი კლასის ტიპი, ენიჭება მემკვიდრე კლასის ობიექტზე მიმართვა, მაშინ:

აირჩიეთ ერთი:

- a. ამ ცვლადის საშუალებით შეგვეძლება მხოლოდ იმ წევრებთან მიმართვა, რომლებიც განსაზღვრული იყო მემკვიდრე კლასში
- b. ამ ცვლადის საშუალებით შეგვეძლება მხოლოდ იმ წევრებთან მიმართვა, რომლებიც განსაზღვრული იყო წინაპარ კლასში
- c. ამ ცვლადის საშუალებით შეგვეძლება მიმართვა მხოლოდ მასივებთან

### კითხვა 5

რომელი მსჯელობაა სწორი:

აირჩიეთ ერთი:

- a. თვისება შეიძლება იყოს გადატვირთული
- b. თვისება არ შეიძლება იყოს გადატვირთული
- c. თვისება ნაწილობრივ შეიძლება იყოს გადატვირთული

### კითხვა 6

- ოპერატორის გადატვირთვისას მნიშვნელობა:

აირჩიეთ ერთი:

- a. აქვს მხოლოდ მთელი რიცხვების მიმდევრობას
- b. არ აქვს ოპერანდების მიმდევრობას
- c. აქვს ოპერანდების მიმდევრობას

### კითხვა 7

დელეგატს შეუძლია გამოიძახოს მხოლოდ ის მეთოდი, რომლის:

აირჩიეთ ერთი:

- a. ტიპია int
- b. სიგნატურა არ შეესაბამება დელეგატის სიგნატურას
- c. სიგნატურა შეესაბამება დელეგატის სიგნატურას

### კითხვა 8

ერთ მოვლენას შეიძლება ჰქონდეს:

აირჩიეთ ერთი:

- a. მხოლოდ 1 დამამუშავებელი
- b. რამდენიმე დამამუშავებელი
- c. მხოლოდ 2 დამამუშავებელი

### კითხვა 9

ინტერფეისში არ შეიძლება გამოვაცხადოთ:

აირჩიეთ ერთი:

- a. ველები (ცვლადები)
- b. მეთოდები
- c. ინტერფეისები

### კითხვა 10

კლასებისაგან განსხვავებით, ინტერფეისი:

აირჩიეთ ერთი:

- a. არ შეიძლება მიღებული იყოს ერთზე მეტი ინტერფეისისაგან
- b. შეიძლება მიღებული იყოს ერთზე მეტი ინტერფეისისაგან
- c. შეიძლება მიღებული იყოს მხოლოდ ერთი ინტერფეისისაგან

### კითხვა 11

ცხადი რეალიზაციის დროს:

აირჩიეთ ერთი:

- a. ინტერფეისის ელემენტის წინ მიეთითება ინტერფეისის სახელი
- b. ინტერფეისის ელემენტის წინ არ მიეთითება ინტერფეისის სახელი
- c. ინტერფეისის ელემენტის წინ მიეთითება კლასის სახელი

### კითხვა 12

თუ ორი სახელების სივრცე შეიცავს ერთნაირი სახელის მქონე კლასს, მაშინ იმისათვის, რომ ეს ორი კლასი ერთმანეთისაგან განვასხვავოთ:

აირჩიეთ ერთი:

- a. საჭირო არ არის კლასის სახელის წინ სახელების სივრცის მითითება
- b. საჭიროა კლასის სახელის წინ სახელების სივრცის მითითება
- c. საჭიროა მხოლოდ კლასის სახელის მითითება

### კითხვა 13

catch ოპერატორში პარამეტრის მითითება:

აირჩიეთ ერთი:

- a. არ არის აუცილებელი
- b. აუცილებელია
- c. ნაწილობრივია აუცილებელი

### კითხვა 14

finally ბლოკის კოდი:

აირჩიეთ ერთი:

- a. შესრულდება მხოლოდ catch ოპერატორში
- b. არასოდეს არ შესრულდება
- c. ყოველთვის შესრულდება

### კითხვა 15

Stream კლასის WriteByte(byte ცვლადი) მეთოდი:

აირჩიეთ ერთი:

- a. გამოსასვლელ ნაკადში 1 ბაიტს წერს
- b. გამოსასვლელ ნაკადში 2 ბაიტს წერს
- c. შესასვლელი ნაკადიდან 1 ბაიტს კითხულობს

### კითხვა 16

TextReader კლასის ReadToEnd() მეთოდი:

აირჩიეთ ერთი:

- a. კითხულობს ნაკადის დარჩენილ სიმბოლოებს და გასცემს მათ C#-სტრიქონის სახით
- b. წერს ნაკადის დარჩენილ სიმბოლოებს და გასცემს მათ C#-სტრიქონის სახით

- c. კითხულობს ნაკადის დარჩენილ სიმბოლოებს და გასცემს მათ წილადის სახით

### კითხვა 17

`file1.Seek(10, SeekOrigin.Current);` ოპერატორის შესრულების შედეგად:

აირჩიეთ ერთი:

- a. შესრულდება 10 ბაიტის გადათვლა ფაილის დასაწყისიდან
- b. შესრულდება 10 ბაიტის გადათვლა ფაილის ბოლოდან
- c. შესრულდება 10 ბაიტის გადათვლა ფაილის მიმდინარე პოზიციიდან

### კითხვა 18

`FileInfo` კლასის `Create()` მეთოდი:

აირჩიეთ ერთი:

- a. ხურავს ფაილს
- b. შლის ფაილს
- c. ქმნის ფაილს

### კითხვა 19

`DirectoryInfo` კლასის `GetFiles()` მეთოდი:

აირჩიეთ ერთი:

- a. შლის კატალოგს მის შემცველობასთან ერთად
- b. გასცემს მიმდინარე კატალოგის ფაილების სიას
- c. გასცემს მითითებულ კატალოგში მოთავსებული ყველა ფაილის სახელს

### კითხვა 20

მონაცემების სინქრონული შეტანა-გამოტანის დროს:

აირჩიეთ ერთი:

- a. იწყება პროგრამის შესრულება
- b. არ ჩერდება პროგრამის შესრულება
- c. ჩერდება პროგრამის შესრულება